სახალხო გაზეთი

№ 1062 შაბათი, 7 დეკემბერი 1913 წ. № 1062

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამკლოვიარო განცხადების დაბეჭდა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიღება მხოლოდ თვით ხტამბა „ვრომა"-ში, მეტრანის ქუჩა, და ედირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოდანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოობით 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთ-თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძვლა-პარაკები შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 3 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახალხის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში: 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და საliტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი დეკემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **75 კაპ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

შაბათს, 7 დეკემბერს, გარდაცვალების წლის თავზე, განსვენებულის საფლავზე, რომის კათოლიკეთა სოლოლაკის სასაფლაოზე დანიშნულია მესსა და პანაშვიდი

კნეინა ანა იაგორის ასულის ჩოლოყაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **შვილი და ასულნი.** პანაშვიდი დაიწყება შუადღის 12 საათზე. 852

ეფემია ზაქარიას ასული ქიტიაშვილისა, სოფიო დიმიტრის ასული ხმიადოვისა, იაკობი, ივანე, დავით, იოსებ და ზაქარია დიმიტრის ძენი, მარიამ ზაალის ასული, ნინო გრიგოლის და ანნა ივანეს ასული ქიტიაშვილნი გულითადი ნუგეშისცემით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი დაუვიწყარ მეუღლის, მეორენი—საყვარელ და ძვირფას მამის და უკანასკნელნი—საყვარელ მამამთილის

დიმიტრი იაკობის ძე ქიტიაშვილის

გარდაცვალებას **ქ. გორში** საკუთარ სახლში პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ხუთ საათზე. გამოსვენება კვირას, 8 დეკემბერს, დილის ათ საათზე, ოქონის ღვთის მშობლის ეკლესიაში. 861

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 37.

კვირას, 8 დეკემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

მეფე ლირი

ტრაგედია 5 მოქმ. და 10 სურათად შექსპირისა, თარგმ. ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: მდივანი, პიერეტა, ქიქოძე, ბ-ნნი: არადელი-იშხნელი, ბარველი, გომელაური, გუნია, ვარვარიძე, ზარდალიშვილი, თარალაშვილი, იმედაშვილი, მესხი, სარაული, ურუშაძე, ციციშვილი, ხონელი, შანშიაშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყ. სწორედ სალამოს 8 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულ ებრივია.

რეჟისორი ვლ. შალიკაშვილი.

მზადდება წარმოსადგ.: სინ:თლე, დამარცხებული რომი, მარიამ სტუარტი, ჰამლეტი და სხ.

შემდეგი **ბენეფისი მ. მდივანისა.** 12 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება **„ახალი მოძღვრება".** ადმ. ქართ. დრამ. საზ. 1617

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან. ნ. კუნდურაოვის ადგილზე **დღეს, 7 დეკემბერს, 1913 წ.**

დიდი სასპორტო საღამო

„ჩვენი შაგათი".

მე-8 დღე მსოფლიო ფალავანდთა ფრანგული ჭიდაობისა. დღეს პირველი გამოსვლა პრუსიკისა. დღეს ჭიდაობენ: გადამწყვეტი ლავრენოვი და სოლოვიოვი, ციპსი და სედიხი, პრუსისკი სეპნიკი, კოპიევი და ურსი.

858 დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.**

საზამთრო ახალი კლუბი თეატრი

შაბათს, 7 დეკემბერს,

საოჯახო საღამო

თეატრის სცენაზე წარმოდგენილი იქნება სამ-მოქმედებიანი ოპერეტკა დეონსის. მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: კოლოტოვისა, პრესინსკისა, ვარვარინოვისა, გრიგორიევისა, თამარინოვისა, ტოპინისა და სხ. ბ-ნნი ანტონოვი, ვალერიანოვი, ევგენიევი-მონინი, სპინი, ლეონტიევი, მორსკოი, პეტროვი და სხვ. ✦ **დასაწყ. საღ. 8½ ს.**

ადგილების ფასი: პარტერტში 2 მ.-დან 50 კ.-დე, გალერეია 50—20 კ. გალერეია ყველა-ზათვის ხელ-მისაწვდომია. ტუალეტები კლუბში შესვლაში იხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კ. და სტუდ. 25 კ. **ანონსი:** ორშაბათს, 9 დეკემბერს, **კონცერტი ცნობილ პიანისტის ალექსანდრე ბარონჩიკის** მონაწილეობით. 1568

სახაზინო თეატრი

9 დეკემბერს, 1913 წ. საოპერო საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით

ქართულ სათვალ-აზნაურო საქალაგო სკოლის

სასარგებლოდ წარმოდგენილ იქმნება

პიკოვაია დამა.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 1619

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა გ. მეჰრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური** წამლობა. ხელოვნური **პნევმოთორაქსი. რენტგენის ელვახებური სხივებით ფილტვებისა და გულის გასინჯვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—10 საათ. **საწყლებს უფასოდ.**

ბაგუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

ქუთაისის ქალაქის თეატრი

შაბათს, 7 დეკემბერს, ქალაქის თეატრში ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსების ლექტორი ბ-ნი **სარგის კაკაბაძე** წაიკითხავს ქართულად საჯარო ლექციას თემაზე:

ახალი შეხედულებანი საქართველოს საშუალო საუკუნოების ისტორიის შესახებ.

ლექციის შემოსავალი გადადებულია „ვეფხის-ტყაოსნის" გამოსაცემად. ბილეთები იყიდება კასაში. დასაწყისი სალამოს 8 საათზე. 1620

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდეს:

წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:

ქართ. ცხოვრება მარიამ დედ. ვარ. 3 მ. —	— Источники груз. лѣтописей 1 „ —
საქართ. ისტორია ვახუშტისა 2 „ —	— Хроника Эристовскаго Акафиста . . . — „ 10 „
„ „ ბაქრაძისა 1 „ —	— Еще одинъ изъ источниковъ исторіи Грузіи . . — „ 30 „
„ „ ბროსესი 1-ლი — „ 70 კ.	— Разборъ армаздскойнадписи по фотографическому списку . . . — „ 10 „
„ „ „ 2-ე — „ 70 „	— Матеріалы для истор. Грузіи 30 „
თბილისშვილი ეკვთ. Опис. рукописей О-ва распр. гр. ср. гр. нас.	— Канчаетскій „Жам - гуланъ и историческія приписки его Кинѣлосы . . — „ 15 „
— т 1 вып. 1 1 „ —	— Сиѣмарн ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობლისა . . — „ 15 „
— „ 1 „ 2 1 „ —	**ახალი წიგნები:**
— „ 1 „ 3 — „ 75 კ.	ისტორიული საბუთები 3-ე ს. კაკაბაძე 1—20
— „ 1 „ 4 — „ 75 „	ჩვენარენი და ცხოველები ცხელი ჭვეყნისა ა. ჭიკნაძისი . . 35 კ.
— „ 2 „ 1 — „ 75 „	
— „ 2 „ 2 1 „ —	
— „ 2 „ 3 1 „ —	
— „ 2 „ 4 1 „ —	
— Сигелъ груз. царя Баграта 4 . . . . — „ 30 „	

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1917

ტფილისის კერძო სამკურნალო

ჭალაფეგის ქუჩა, ხაკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო თანხები განსაკუთრებითი ხამშობიარო განყოფილებ.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. ვ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.
	მაღალაშვილი ზ. ზ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1 ს.
	ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
	ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მეჩაბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.
	თიქანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.
	მელიქიშვილი ნ. ვ. ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ.-ქალ. ბაძრაძე-დიდაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.
	ფედოროვი ბ. ხ. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1
	ფოკიდოვი ბ ს. ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
	ორემბოვსკი ნ. ხ. ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**ფუსხელიშვილი ვ. ხ.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2——2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და სამბაქტეროლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეუხებუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1466

ახალ კლუბთან

არსდება ქალთა და ვაჟთა მეთამაშეთა გუნდი

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ და ჩაეწერნენ კლუბის დირიჟორ **ს. ი. პრესმანთან.**

ყოველ დღე დღით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო საღამოთი 9 საათიდან ღამის 11 საათამდე. 1401

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა)

განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი ვ. ბ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფოყოველ დღე 12—1 ს.-დე.

გინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და სამბაქტერიოლოგიო ლაბორატორიას. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. **წამლობა „606", „914".** 1604

ქალაქი გაქო

არტისტიულ სამოგადოების დარბაზი

ქ. შ. წ. კ. გ. ს. ბაქოს განყოფილების დრამატიულ სექციის მიერ გაიმართება

საღამესასწაულო საღამო

მეექვანაზე (სუფლიორი) მიხეილ მარჯანიშვილის 20 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად.

რეჟისორი: ნ. გვარაძე. ადმინისტრაციი: **დრამატიულ სექციის კომიტეტი.** 1622

ელექტროენის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ფირა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1488

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახალშენებულ ეკლესიისა და დიდ ტის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლ ომონ ივანეს **ძე თბილისელ**ი**შვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმოკრძალესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ექიმი **ბ. ვ. ლოლოგბერიძე** ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დღისით 2—3 საათამდე. საბებიო, ქალის და შინაგანი ავადმყოფობანი. სლეპცოვის შესახვევი № 3. 1524

ექიმი **ვ. მ-ძე მანსვეტაშვილი** გადავიდა ახალ სახლში. ოლგას ქუჩა, სახ. მელიქ-აზარიანცისა, № 3. შინაგანი, ძარღვების და ბავშვების ავადმყოფობათა. იღებს 10—12 დილით, 6—7 საღამოთი ტელეფონი № 16—02. 707

ექიმი **მეიფარიანი** იღებს შინაგანი, ბავშვისა და ვენერიულ ავადმყოფებს. დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 საათ. **ქუთაისი,** ტფილისის ქ., საკუთარი სახლი, № 30, **ტელეფონი № 150.** 1855

ვაგზლის კერძო

სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფებისთვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ხ. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. ბოლოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ოთხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. ვ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი: აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

ნამლობა „606"-ით 1462

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** ტ **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი **ს. ა. ლევაკა** მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევ, შაბათ და დღესასწაულების წინა დღეებისა, ნაშუადღევის 4 ს.-დან 7 ს.-მდე. ალექსანდროვის ქ. 41, **ტელ. 16—57.** 779

ექიმ ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვებიან კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **ექვე გამგრძელებულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის

სამკურნალო

ქალ. ბაქოში

ბუდმიგ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. **საათიდან 7** საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. ბაბაშვილისა.

ქართული პრესა

გაზეთი „სიტყვა" გუშინდელს ნომერში გვეკამათება საქართველოს რეალურ ტერიტორიის შესახებ და რადგან უტყუარი ფაქტების წინააღმდეგ ვერა მოუხერხებია რა, ტყუილითა და ცილის წამებით უნდა ფონს გავიდეს.

ჩვენი თანამშრომელი **სიტყვა** იცავდა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალურ მთლიანობას და ამტკიცებდა, რომ შეუძლებელია დღეს დავემყაროთ ისტორიულ საქართველოს საზღვრებსო. ეს, რასაკვირველია, მარტო მისი პირადი შეხედულობა არაა: ამას ქადაგებდა და იცავდა მუდამ ჩვენი გაზეთი, ასეთის აზრისანი იყვნენ ყველა ის გაზეთები, რომლებიც ჩვენზე წინ არსებობდნენ და რომელთა პროგრამას ჩვენ სავსებით ვემხრობით.

ეს კარგად იცის ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ, იცის, თუ როგორის ტერიტორიის დამცველნი ვიყავით და ვართ ჩვენ. ეს მშვენიერად მოეხსენებათ დასელებსაც, მაგრამ გულმა როგორ უნდა მოუთმინოს და როგორ უღალატონ ერთ-

ხელვე გაკაფულს გზას: არ იცრუონ და არ მოიპოვონ თავიანთ პოლიტიკური მოწინააღმდეგეთა დასამცირებლად.

დასელების გაზეთი ბრძანებს, რომ **სიტყვას** თანამოაზრენი ისტორიულ საქართველოს ებოიუტენიან, თვითონ არ ეთანხმება მათ და საქართველოს ახალს საზღვრებს ეძებსო, და დასძენს:

„მაგრამ ამ ძებნაშიაც ნათლად გამოსჩვივის ნაციონალიზმის სიკოტრე. ბ. სიტყვა მხოლოდ იმ ადგილებს ეთხოვება, სადაც ქართველობა უმცირესობას წარმოადგენს. უმრავლესობის პრინციპს კი ალბად იგიც იცავს, ვინაიდგან არაფერს ამბობს არც იმ არა ქართველების უფლებებზე, რომელნიც მისი სიტყვით ქართველთა პროვინციებში მთელი მცხოვრებლების ერთს მეოთხედს შეადგენენ, და არც იმ ქართველებზე, რომლებიც ხელოვნურად (?!) გამოჭრილ საქართველოს გარეშე რჩებიან“.

ამ სიტყვების დამწერს, ეტყობა, ძლიერ სუსტი წარმოდგენა აქვს იმ საგნის შესახებ, რომელსაც ეხება, და ნაკლებად იცნობს ლოღიკის კანონებსაც. დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება ტერიტორია, სადაც მხოლოდ ერთი ერი სცხოვრობდეს. მაშასადამე თუ ასეთი ტერიტორიები ვეძიეთ, ყველა არსებული თვითმმართველობა უნდა გავაუქმოთ და უნდა ვებრძოლოთ ყოველის ღონით, თუ რომელიმე ერმა ან ოლქმა თავისი უფლებანი მოითხოვა. მერე განა ერთხელ და ორჯელ გამოგვითქვამს საჯაროდ ნათლად და გარკვევით, რომ ყოველნაირის საშუალებით უზრუნველვყოფილი უნდა იყოს იმ არა ქართველთა ეროვნული უფლება, რომელიც რეალურ საქართველოს საზღვრებში დარჩებიან? ხოლო ვერავინ მოგვთხოვს, რომ ვინაიდგან ჩვენს ტერიტორიაზე არა ქართველებიც სცხოვრობენ, ჩვენ ჩვენს რწმენაზე ხელი ავიღოთ.

არა, ბატონებო, ჩვენის ეროვნულის რწმენის გაკოტრების შესახებ კი ნუ ლაპარაკობთ. იქონიეთ გამბედაობა და ილაპარაკეთ თქვენი ეროვნული გეგმის სრული გაკოტრებისა და დამსხვრევის შესახებ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთმა „კავკაზმა“ ალბად საერთო პოლიტიკური მიდრეკილების ალღო აიღო ამ ბოლო დროს და ისეთი კილოთი სწერს ჩვენი ეკონომიური თუ გონებრივი საჭიროებათა შესახებ, როგორც ეს შეჰფერის გაკადნიერებულს მოხელეს. დასავლეთი საქართველოს შიმშილობა ასეთი სინამდვილეა, რომელსაც მხოლოდ ბრმა თუ არ დაინახავს. გაზეთი „კავკაზი“ ეჭვის თვალით უცქერის ამ სინამდვილეს და მუხიდავად

ერთვნული იდეალი ჩვენს უახლოეს

ლიტერატურაში.

(„ჯლოვის ზარი“, ხ. ფირცხალავა).

„ბული წმიდა დაჰბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გულსა ჩემსა...

„კეთილი უყავ უფალო ნებითა შენითა სიონსა და აღაშენენ ზღუდენი იერუსალიმისანი...

ფსალმუნი 50.

I

რაც უფრო ვშორდებით რევოლიუციის საშინელ ხანას, იმდენად უფრო იღვიძებს ჩვენში ეროვნული იდეალი. ეხლა ბევრს სამარცხვინოდ აღარ მიაჩნია, რომ იგი ქართველია, რომ იმასაც აქვს „სამშობლო“, რომელსაც თურმე „საქართველო“ ჰქვიან. უკვე შავბნელ ისტორიის ფურცლებს ჩაჰბარდა ის უკუღმართი, გაბრუებულ გონებით გატაცება, როდესაც „საერთაშორისო“ ყოველისფერი იყო და „საკუთარი“, უკედ „ეროვნული“—არაფერი. მართალია, დღესაც ვხედავთ ბ-ნ ნარიძეთა ახალს გამოლაშქრების ეროვნულ იდეის ჩაწიხლად, რა თქმა უნდა, ძველი, უკვე ნაცნობი ტრაფარეტული ქამანდებით, მაგრამ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ეს ის კულმინაციის წერტილია გაბოროტებული სულისა, რომელსაც შეგვიძლიან „საკუთარ უძლურების შეგნება“ და „კალმოსნური გათახსირება“ ვუწოდოთ. ეს ისე ცხადია, ისეთი თვალსაჩინო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რომ მათ „ოფიციალური სტატისტიკური ცნობებით“ დაგვიმტკიცეს „ქართველობის განადგურება“

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **საფუთო გადასახადი.** კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ნება დართოს ტფ. ქალაქის თვითმმართველობას თვის სასარგებლოდ 10 წლით საფუთო გადასახადი დაწესოს რკინის გზით ტფილისში შემოტანილ და იქიდან გატანილ საქონელზე. წინასწარ გამოანგარიშებით ეს გადასახადი ყოველ წლიურად მისცემს ტფილისს 600,000—700,000 მან.

◆ **შუამდგომლობა.** სკოლის გარეშე განათლების გამავრცელებელი საზოგადოება შუამდგომლობს

რომ ეხლა ჩვენ ჩვენის ძრნით ვნანობთ და გულწრფელად ვწუხვართ, რომ ისინი ქართველებად დაიბადნენ, კვლავ ქართველის სახელს ატარებენ და არა კრუშევანებისას, რომელთა პირიდგან მზგავსი უკადრისობა არც ისე რიგად იქმნებოდა გასაკვირელი. საბედნიეროდ, როგორც ვსთქვი, სასწორმა გადმოიხარა და ეროვნული იდეა მით უფრო იმარჯვებს, რავდენადაც ჩვენი ცხოვრება ანორმალური მდგომარეობიდან ნორმალურ კალაპოტში დგება. ეხლა უფრო მრავლადა ვხედავთ გაბედულ წერილებს, ახალ-ახალ პამფლეტებს, წვრილმანი პოლიტიკური კინკლაობა უფრო სერიოზულ და საზოგადო ინტერესებზე გადადის, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში ეროვნული სარჩული უდევთ; იღვიძებს ახალგაზდობა, ერი, ბერი, მამულის გულშემატკივრებიც მეტადა სჩანს, ვიდრე წინად, როდესაც გულწრფელი მამულიშვილობა აბუჩადიყო აგდებული. და ყველა ეს მით უფრო არის საინტერესო, რომ მოძრაობა იგი **საზოგადოებრივდება**, ერთისა და ორი კაცის მონოპოლიას კი არ შეადგენს, არამედ საზოგადოს, ყველა ქართველის საჭირბოროტო საკითხს. ნელ-ნელ, მაგრამ მაინც შეუჩერებლივ მივდიავართ იმ შემეცნებამდე, რომელიც გვასწავლის, რომ ჩვენ ყველანი ჩვენს ეროვნულ მისწრაფებათა, მოქმედებათა თუ გრძნობა-გონების ნაწილი ვართ, რომ ხილულ მსოფლიოზე ცოცხალ ორგანოებად მაშინ ვიცნობთ თავს, როდესაც შევძლებთ საკუთარ თავის შეძეცნებას. აი, მხოლოდ ამას სრულ შეგნების შემდეგ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ „საქართველო კვლავ არსებობს“, რომ „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“, უკედ „იღვიძებს“, რომ იგი უბრალო რუკის ყოფილ ტერმინს არ წარმოადგენსო!“

მთელი ჩვენი შეცდომა, მთელ, „მეცნიერული“ ვაკხანალია ეროვნულ საკითხის შესახებ იქიდან წარმოსდგა, რომ ადამიანს ვიღებთ აბსტრაქტულად, იგი ცაში ჩამოვკიდეთ უჩინარ საქმიკოს ლაბორატორიაში და ერთხელაც არ გვინდა გავსაჯოთ და ცდა ისევ აქ მოვახდინოთ, აქ, ამ ქვეყნად, რომ ადამიანი იგი განვიხილოთ, როგორც ერთეული რამ, როგორც ისტორიულად დროსა და ადგილთან შეკავშირებული პიროვნება, მთელი თვისი გრძნობა-გონებით, მისწრაფებით რომლისათვისაც მისი სამშობლო მიწა მთელი თავისი თვალ-წარმტაცი სანახაობით მის **საკუთრებად** გარდაიქმნა და მის გარეშე არსებულ ათას ადამიანთა, ათას მზეთა, მიწათა, ათას სხეულთა მსვლელობა, თვით მსოფლიოც კი, რომლის ერთი გახსენება უნებლიედ ერუანტელსა გვგვრის, მისთვის მხოლოდ ერის **საკუთარ აკვნის ანარეკლს წარმოადგენს** და მეტს არაფერს!

იყო დრო, როდესაც ქართველის სახელი პატივითა და ღირსებით იხსენიებოდა არა მარტო კავკასიაში, არამედ ისეთ პირველ ხარისხოვან სახელმწიფოთა შორის, როგორიც იყო ბიზანტია, რომის იმპერია, დიდი ხალიფა, სპარსეთი ანუ ოსმალეთი. მაშინ ჩვენ მამულიშვილთა ძლიერი სული იბრძოდა სამშობლოს კანონიერი კეთილდღეობისა ტ თავისუფლებისათვის. ეს დრო წავიდა... გაჰქრა.. არც დაბრუნდება არასოდეს. ხალხი მას შემდეგ, რაც ულმობელმა ბედის-წერამ რუსეთის კალთას შეგვაფარა, დავქუცმაცდით, დავნაწილდით, დავადექით დაკნინების გზას, ერთურთის გაუტანლობას, შეგინებას და დამცირებას. მასიური სიგულგრილე გამეფდა სამშობლოს მოვალეობისადმი. არა სჩანს აქტიური ძალა, აქტიური ინტერესი, რომ შეგვეგნო ჩვენი დამცირება, შეგვეგნო ჩვენი მდგომარეობის საშინელება, კვლავ გვეგრძნა სამშობლოს კეთილ-დღეობის გასაფურჩქნად. ეს დღეა დღე, ეგრედ წოდებულ, **მესამე დასელთა** გამარჯვებისა, რომელთაც საზოგადოებრივ აზროვნების ჰეგემონია ხელთ იგდეს, უკუ აგდეს ერის ყოველგვარი ინტერესი და უკუღმართობისკენ დაჰქნეს მიმდევარი ბრბო.

დასელი ჩვენი ხალხისთვის უცხო ერის ქურუმი იყო, რომლის ლოცვებსაც ძანქანებრივ იმეორებდა თავ-გზა აბნეული მასა, თუმცა სრულებით არ ესმოდა არც ამ ლოცვების ენა, არ მათი შინაარსი. დასელი ეს იმ უკუღმართ კალმოსანთა სახელწოდებაა, რომელთაც დაჰკარგეს ჩვენი ცხოვრების სინამდვილის გაგების უნარი. ბოგანოებად, პროლეტარებად მონათლეს ჩვენი წვრილმანი მხვნელ-მთესველი გლეხობა. პროლეტარის იარაღივით გამოჰყავთ იგი და ჰქმნიან ერთგვარ სტიქიურ ძალას, რომელსაც მსვერპლად უნდა შესწიროდა, ვთქვათ, თუნდა, „დიდი მემამულე“ და „სასტიკი მებატონე“ ილიასთანა მამულიშვილი! დოქტორინისადმი მონურმა თაყვანისცემამ მონურ სიბეცემდე მიიყვანა დასელი. ეინიანობა, კეთილგონიერების დაკარგვა და ღრიანცელი, დაუსრულებული ღრიანცელი, —აი ის ფარხმალი, რომლითაც აღჭურვილი იყო ჩვენებური დასელი. მას არც თუ თავისი მოძღვრება ჰქონდა შესწავლილი. ზერელედ, ყურმოკრულ მცნებათა გაკიდებით იგი სტიქიურად მოუწოდებდა თანამოაზრე მასას. აი, რატომ იყო, რომ მოუმზადებელი დასელი ჩვენი სოციალურ ცხოვრების enfant terrible-ად გარდაიქმნა, აი რატომ იყო, მისი გამეფება წყვდიადის მეუფების გაბატონებას მოასწაოებდა, რის გამოც მეტად ძნელი შეიქმნა ერში სიცოცხლის ახალი სული აღმდგარიყო, რათა იგი კვლავ გამხდარიყო ძლიერი, საკუთარ ცხოვრებაში მყოფი ერთეული.

კოსმოპოლიტიზმისადმი მონურმა ქედის მოხრამ დასელს დაავიწყა ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ თვით კაცობრიობის განვითარება დამოკიდებულია ნაციონალურ ინდივიდუალობის სიმტკიცისაგან, რომ ნაციონალურ სახეობის დასრულება ახალი გზაა საზოგადოებრივი დასრულებისკენ, რომ ცივილიზაციის ისეთი შესანიშნავი ნაყოფი, როგორიც არის რელიგია, ენა, ზნე-ჩვეულება, კანონ-მდებლობა, ჰოეზია თუ ხელოვნება, უნდა განხილულ იქმნეს როგორც ბუნებრივი და აუცილებელი ნაყოფი ნაციონალური თვისებისა, მისგან შექმნილი არსებული წრისა. ადამიანი არა ჰქმნის, ძალად ვერ აღმოაჩენს ყველა ამას, შემეცნებულად, წინასწარი განზრახვით ვერ მოჰყვება ახალი სიტყვების გამოგონებას, რელიგიურ შემეცნებათა შედგენას, მხვატრულ შემოქმედებათა ამა თუ იმ თემის შექმნას. ყოველივე შემთხვევაში ასეთი სახითა არ შეუქმნიათ არსებულ ენათა ფორმები, სარწმუნოებათა დიდებული სიმბოლოები, ანუ იდეალური მხატვრობა თუ პოეტური სახეობანი. მდაბიოდ რომ ვსთქვათ, ის, რაც დღეს ჩვენს თვალში ცივილიზაციის ნაყოფად არის აღიარებული, უწინარეს ყოვლისა, ნაციონალურს ქურაშია გამომწვარი, გამოწრთობილი, რომ კერძოდ აღებული მგოსანი, მხატვარი თუ წინასწარ-მეტყველი, რომელთა წყალობით გარეგნულ გამოხატულებას იღებდა თვითეული მათგანი (მხატვრობა, პოეზია, რელიგია), მხოლოდ ნაციონალურ ორგანიზმის შემოქმედი ორგანოები იყვნენ, რომელთა მეოხებით ესა თუ ის (ენა, პოეზია, რელიგია, მხატვრობა) თავიანთ სახეიის გამოხატულების ჰპოულობდნენ. აიღეთ „ვეფხის ტყაოსანი“. რა არის იგი, თუ არა დიდებულ ერის დიდებული გამოძახილი? რა არის იგი, თუ არა ბრწყინვალედ მოხაზულ ცეცხლის რგოლების ლექსთა-წყობილობა, რომელიც ჩვენ ერის გვირგვინს შარავანდედად შემოვლებია აგერ მთელი რვა საუკუნის განმავლობაში? მერე რა მოხდა? მიუხედავად იმისა, რომ მისში გამოითქვა ჩვენი ერის ჰარმონიული სულის სიძლიერე, მიუხედავად იმისა, რომ ჰოემა იგი სინთეზია მე-XII საუკუნის თავისუფალ საქართველოს დიდებისა, იგი ვიწრო ფარგლებში არ მომწყვდეულა და ავტორი მისი ეზიარება იმ საკაცობრიო პანთეონის განსასვენებელს, სადაც ვხედავთ დანტეს, ტასსოს, შექსპირს, ჰომეროსს! არც ერთი დიდებული მწერალი, არც ერთი დიდებული მხატვარი, რომელიც მსოფლიოს დღემდინ ახსოვს, არა ყოფილა განდგომილი თავისი სამ-

---

ჭურვილი იყო ჩვენებური დასელი. მას არც თუ თავისი მოძღვრება ჰქონდა შესწავლილი. ზერელედ, ყურმოკრულ მცნებათა გაკიდებით იგი სტიქიურად მოუწოდებდა თანამოაზრე მასას. აი, რატომ იყო, რომ მოუმზადებელი დასელი ჩვენი სოციალურ ცხოვრების enfant terrible-ად გარდაიქმნა, აი რატომ იყო, მისი გამეფება წყვდიადის მეუფების გაბატონებას მოასწაოებდა, რის გამოც მეტად ძნელი შეიქმნა ერში სიცოცხლის ახალი სული აღმდგარიყო, რათა იგი კვლავ გამხდარიყო ძლიერი, საკუთარ ცხოვრებაში მყოფი ერთეული.

კოსმოპოლიტიზმისადმი მონურმა ქედის მოხრამ დასელს დაავიწყა ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ თვით კაცობრიობის განვითარება დამოკიდებულია ნაციონალურ ინდივიდუალობის სიმტკიცისაგან, რომ ნაციონალურ სახეობის დასრულება ახალი გზაა საზოგადოებრივი დასრულებისკენ, რომ ცივილიზაციის ისეთი შესანიშნავი ნაყოფი, როგორიც არის რელიგია, ენა, ზნე-ჩვეულება, კანონ-მდებლობა, ჰოეზია თუ ხელოვნება, უნდა განხილულ იქმნეს როგორც ბუნებრივი და აუცილებელი ნაყოფი ნაციონალური თვისებისა, მისგან შექმნილი არსებული წრისა. ადამიანი არა ჰქმნის, ძალად ვერ აღმოაჩენს ყველა ამას, შემეცნებულად, წინასწარი განზრახვით ვერ მოჰყვება ახალი სიტყვების გამოგონებას, რელიგიურ შემეცნებათა შედგენას, მხვატრულ შემოქმედებათა ამა თუ იმ თემის შექმნას. ყოველივე შემთხვევაში ასეთი სახითა არ შეუქმნიათ არსებულ ენათა ფორმები, სარწმუნოებათა დიდებული სიმბოლოები,

---

◆ გამოვიდა „სასოფლო გაზეთის“ 51 ნუმერი. მოთავსებულია წერილები დ. მდივნისა, გ. შარაშიძისა და სხვ. ნომერი საზოგადოთ შინაარსიანად და ლამაზადაა შედგენილი.

◆ ქუთაისის ქართული მომღერალი საზოგადოების კრება დანიშნულია 8 დეკემბერს, კვირას, დილის 11 საათ. გ. გიგინეიშვილის საბუჭალტერო კურსების სადგომში ტფილისის ქუჩაზე, ბარქაიას სახლში. ეს კრება უნდა მომხდარიყო 17 ნოემბერს, მაგრამ ამ დღეს არ შეიკრება წევრთა საჯერო რიცხვი და და კრება არ შესდგა, ამიტომ 8 დეკ. დანიშნული კრება კანონიერად ჩითვლება მიუხედავად დამსწრეთა რიცხვისა.

კრების განსახილველია: 1) 1911-სა და 1912 წლების ანგარიში, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) მომავალი დროის ხარჯთ-აღრიცხვა, 4) არჩევა მამასახლისთა, საბჭოს წევრთა და სარევიზიო კომისიის წევრთა.

◆ საფიჩხიის მცხოვრებნი ჩივიან ღამის რაინდებზე. 3 დეკემბერს ერთს იქაურ მოსახლეს ლუკა სირბილაძეს მიხტომიან ვიღაცეები და ფანჯრები ჩაულეწიათ.

◆ დღეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში გასარჩევად დანიშნულია კიმოთე გვენცაძისა, მარიამ ჩაგანავას, ბახვა შონიას და სხვების საქმეები.

◆ კავკასიის საოლქო სამხედრო სასამართლომ 6 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, სამი დღის თათბირის შემდეგ დაამთავრა სამანაშვილის, წივწივაძის და ბუაძის საქმე. პირველს ბრალად ედებოდა აფრასიონ მერკვილაძის რაზმში მონაწილეობა და იმ დროს დარაჯის მოკვლა, უკანასკნელ სამს სამანაშვილის შეწახვა და მფარველობა. სამანაშვილს სასამართლომ მიუსაჯა 12 წლის კატორღა. წივწივაძე, ბუაძე და კუპრაშვილი გაამართლა. სამანიშვილს და კუპრაშვილს იცავდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე კოლია ქარცივაძე, წივწივაძეს და ბუაძეს მესამე სახელმწიფო სათათბიროს ნადეპუტატარი ევგენი გეგეჭკორი.

ლანჩხუთი

◆ 17 ნოემბერს ... ლანჩხუთში მოხდა მამასახლისის არჩევანი, ერთხმად აირჩიეს ბ. დიმიტრი ციწკაძე. ეს არჩევნები ხელმეორედ იყო დანიშნული, რადგან პირველი კანდიდატები მთავრობამ არ დაამტკიცა.

◆ 19 ნოემბერს დ. ლანჩხუთში შედგა ადგილობრივ „დრამატიულ საზოგადოების“ წევრთა მეორე კრება. ამ საზოგადოებას 21 ოქტომბრიდან არჩეული ჰყავდა დროებით საქმის მომწყობი და წესდების შემმუშავებელი ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც წარმოადგინა შემუშავებული წესდება და რომელიც ცოტაოდენი შესწორებით კრებამ მიიღო. წესდების ერთმა მუხლმა, რომელიც საწევრო ფულის რაოდენობას ეხებოდა, დიდი კამათი გამოიწვია და დაადგინეს: „დრამატიულ საზოგადოების“ ერი გვენურჩევლად სქესისა და წოდებისა, რომელიც იხდის საწევრო ფულს წლიურად ერთ მანეთს, ითვლება სრულ-უფლებიან წევრად და კრებაზე აქვს გადამწყვეტი ხმა. საპატიო წევრებად კი ითვლებიან ის წევრნი, რომელნიც წლიურად იხდიან არა ნაკლებ სამი მანეთისა.

სოფლად.

◆ 27 ნოემბერს **სოფ ალავერდში** (შორ. მაზ.). ღამით გლეხმა ერემია ნინიკაშვილმა თოფით მოჰკლა თავისი ძმა იაგორა ნინიკაშვილი. მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **სოფ. ალისუბლიდან** დაუჯერებელ ამბავს იტყობინებიან: 30 ნოემბერს გადაცვლილა 151 წლის მოხუცი ოქრუა თურქაძე,—მოხუცი სიკვდილის დღემდი სრულს მეხსიერებაზე იყო. ამ ბოლო ხანებში ცოტა სმენამ უსუსტა, თორემ სხვა ნაკლი მას არა ქონია, სამძიმო მუშაობას მუდამ ერიდებოდა, მის საყვარელ საქმეს შეადგენდა: ვაზის გასხვლა, ახვევა. და სიმინდის მარგვლა. ეს მოხუცი ჭამით ცოტას სჭამდა. დღეში თითო ჭიქა არაყს სვამდა. შეძლება ჰქონდა უკმელად დარჩენილიყო, მხოლოდ ღვინო კი უნდა უთუოდ ჰქონოდა, ქორწილებსა და სხ. წვეულებებზე ღვინის სმაში მისი გამძლე იშვიათად გამოჩნდებოდა ვინმე, ხშირად ერთ ჩაფს (?) ღვინოს დალევდა, მაგრამ ფეხი არ შეეშლებოდა. 40 წლის ქვრივი იყო და ცხოვრობდა მარტოდ-მარტო პატარა ქოხში. წირვა-ლოცვას თითქმის სულ არ აკლდებოდა და სხ.

◆ ამ ჟამად **დუშეთის მაზრის** საზოგადოებებში არჩევნები ხდება მიწის მომწყობ კომისებში მონაწილეობის მიმღებ პირთა. საჭიროა ამ პირთ დარიგება იმაზე, თუ რა სთხოვოს, რა აზრი გაატარონ მომავალ-კომისიების საქმიანობაში. მაგალითად, არის სოფლები, რომელთაც ერთი კეწერი შეშა არ მოეპოვებათ, ტყე არსად აქვთ მიჩემებული, ხარჯი და ბეგარა კი არა ჰშორდებათ. რუსის სოფლები რომ სახლდება, მაგალით, ჩრდილო კავკასიაში, ყველას უსათუოდ მიეზომება რამოდენიმე დესეტინა ტყე შინ სახმარ შეშის მოსაჭრელად. შინკი არა, აუარებელს ჰყიდიან კიდეც. ჩვენებურ სოფლებს, ნუ თუ პურის გამოსაცხობ ფიჩხის მოჭრის უფლებაც არ მიეცემათ ეხლა მაინც?..

ქუთაისის ავ-კარგი

ახირებული კრება ჰქონდათ ქუთაისის ბანკის რწმუნებულთ. ესენი შეჰკრიბეს არა ჩვეულებრივ კრებაზე ბანკში შტატების შესამუშავებლად; სამ საღამოს ითათბირეს, ინ-ცინდენტი ინცინდენტს მისდევდა, შეტაკება შეტაკებას და ბოლოს აღმოჩნდა, რომ მრავალი სხვა კითხვა გადაწყდა,—შტატები კი შეუმუშა-

---

ანუ იდეალური მხატვრობა თუ პოეტური სახეობანი. მდაბიოდ რომ ვსთქვათ, ის, რაც დღეს ჩვენს თვალში ცივილიზაციის ნაყოფად არის აღიარებული, უწინარეს ყოვლისა, ნაციონალურს ქურაშია გამომწვარი, გამოწრთობილი, რომ კერძოდ აღებული მგოსანი, მხატვარი თუ წინასწარ-მეტყველი, რომელთა წყალობით გარეგნულ გამოხატულებას იღებდა თვითეული მათგანი (მხატვრობა, პოეზია, რელიგია), მხოლოდ ნაციონალურ ორგანიზმის შემოქმედი ორგანოები იყვნენ, რომელთა მეოხებით ესა თუ ის (ენა, პოეზია, რელიგია, მხატვრობა) თავიანთ სახეიის გამოხატულების ჰპოულობდნენ. აიღეთ „ვეფხის ტყაოსანი“. რა არის იგი, თუ არა დიდებულ ერის დიდებული გამოძახილი? რა არის იგი, თუ არა ბრწყინვალედ მოხაზულ ცეცხლის რგოლების ლექსთა-წყობილობა, რომელიც ჩვენ ერის გვირგვინს შარავანდედად შემოვლებია აგერ მთელი რვა საუკუნის განმავლობაში? მერე რა მოხდა? მიუხედავად იმისა, რომ მისში გამოითქვა ჩვენი ერის ჰარმონიული სულის სიძლიერე, მიუხედავად იმისა, რომ ჰოემა იგი სინთეზია მე-XII საუკუნის თავისუფალ საქართველოს დიდებისა, იგი ვიწრო ფარგლებში არ მომწყვდეულა და ავტორი მისი ეზიარება იმ საკაცობრიო პანთეონის განსასვენებელს, სადაც ვხედავთ დანტეს, ტასსოს, შექსპირს, ჰომეროსს! არც ერთი დიდებული მწერალი, არც ერთი დიდებული მხატვარი, რომელიც მსოფლიოს დღემდინ ახსოვს, არა ყოფილა განდგომილი თავისი სამ-

ვებული დარჩა. ერთმანეთს ეკითხებიან რწმუნებულნი: მაშ, რა ვაკეთეთ, რას ვშვებოდით? და პასუხის მაგივრად ყველანი მხრებს იწევენ, არ ვიცი.

მაშ, რა მოხდაო, იკითხავთ. ის, რომ სიდარბაისლე, საქმიანობა გვაკლია. ავპილპილპილდებით, გავცხარდებით, ერთმანეთს შევეხეთქებით, გავლანძღავთ ურთ-ერთს უშვერი სიტყვით და საქმე იჩრდილება.

იბაასეს ორ საღამოს, თავმჯდომარემ საქმე გამორკვეულად სცნო. მოვიდა კენჭის დროც. თავმჯდომარემ განაცხადა, კენჭს უყრის კომისიის იმ მოხსენებას, რომელსაც შტატების შემუშავება ჰქონდა მინდობილი.

კომისიის წევრმა გიორგი ზდანოვიჩმა განაცხადა: მოსამსახურეთა განცხადებიდან გავიგეთ, რომ კმაყოფილნი არ არიან კომისიის მიერ შემუშავებული შტატებით და ამიტომ წინადადება შემომაქვს, იმ პირთ, რომელთაც კომისიის მოხსენებით ერთ თვის ჯამაგირი აქვთ წლიურ ჯილდოთ, ორი თვისა გაუხადოთ და გარდა ამისა ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობის განკარგულებაში გადავდოთ 1,000 მანეთი ძველსა და მუყაით მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად.

ეს განცხადება ყველამ ისე გაიგო, რომ ბ-ნი გიორგი ზდანოვიჩის წინადადება დამატება იყო კომისიის მოხსენებისა ე. ი. იგი შეიკავდა კომისიის მოხსენებას იმ დამატებითი, რომელიც ზევით აღვნიშნეთ.

დაიწყო კენჭის ყრა; გამოირკვა, რომ თავმჯდომარეს ისეთი წარწერა გაუკეთებია ყუთისათვის, რომ მისი შინაარსიის გაგება ვერავის შეეძლო. აბა თქვენ თითონ გაიგეთ: ორი თვის ჯილდო საყოველთაოდ გახდეს და გადაიდოს შეერთებული კრების განკარგულებაში 1,000 მანეთი“.

გათავდა კენჭის ყრა—კომისის მოხსენება 36 ხმით წინააღმდეგ 35 უარყოფილი იქნა და ზემოდ ამოწერილი ფორმულა თავმჯდომარესი 45 ხმით წინააღმდეგ 24 მიღებული აღმოჩნდა.

კენჭის ყრის შემდეგ ბ-ნმა ზდანოვიჩმა კვლავ განმარტა თავისი ნათელი წინადადება და ამტკიცებდა, რომ კრების უმრავლესობამ მისი წინადადება მიიღო, კრების თავმჯდომარესაც დაუდასტურებია ეს, მაგრამ რადგან ბ-ნ თავმჯდომარეს ეჩქარებოდა წასვლა, მან კრება დახურა და დასტოვა. აღმოჩნდა, რომ იგი მტკნარი უაზრობაა და ამიტომ კრების კამათმა და მიხლა-მოხლამ ტყვილა-უბრალოთ ჩაიარა.

ბევრი ეხვეწა ბ-ნი ნიკო თავდგირიძე კრებას გამათავისუფლეთ, თავმჯდომარეთ ნუ ამირჩევთ, სოხუმში წასვლა მეჩქარებაო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, არ მოეშვენ, ყუთი დაადგმევინეს და აირჩიეს. და ამან ის ნაყოფი გამოიღო, რომ სიჩქარეში ბ-ნმა თავდგირიძემ შესაფერი ფორმულა ვერ მისცა გადასაწყვეტ საკითხს: შრომამ და ღელვამ ფუჭად ჩაიარა და ბ-ნკის მოსამსახურეთ

შობლოსი, პარიქიი, სამშობლო მისი, ეს მისი სულის **Alma Mater**-ი, მისი ოცნების აკვანია, სადაც იგი იზრდება და იფურჩქნება ნაზ ვარდსავით. იქმნებ პატარა საბერძნეთი ჰფიქრობდა კაცობრიობის დახსნას, ეს ის საბერძნეთი, რომლისათვისაც ყოველი ერი **ბარბაროსი** იყო, თუ მის ენაზე არ ლაპარაკობდა? მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მისი კერა მსოფლიო ლამპრად გადაიქცა, ვიცით, რომ მისი ღმერთები, რომლებიც ფიდიას, პრაქსიტელის საოცარმა საკვეთილმა ტლანქ მარმალილოდან გამოჰკვეთა, მსოფლიოს სათაყვანო კერპებად გარდაიქცნენ. იქმნებ დემოსთენე ჰფიქრობდა კაცობრიობის ჰეგემონიის ხელთ ჩაგდებას, ეს ის დემოსთენე, რომელიც თვით ალექსანდრე მაკედონელის წინააღმდეგ ჰგვრინავდა, რათა ათინა ეხსნა უცხოთა დესპოტიზმისაგან? იქმნებ ციცერონი კოსმოპოლიტიზმით იყო გამსჭვალული, როდესაც კატილინას შეთქმულების წინ ამხედრდა? მაგრამ ჩვენ ვიცით, ორთავე თავგანწირული მამულიშვილი დღესაც მამულიშვილობისა და მჭერმეტყველობის სიმბოლოდა ჰყავს მიჩნეული კაცობრიობას! ან იქნებ რომის სხვა დიდებული მწერლები ჰფიქრობდნენ კაცობრიობის აღყვავებას, ეს ის მწერლები, რომლებიც რომის გარეშე მცხოვრები ასე ადვილად ვერ დაუთმობდნენ რომაელის სახელს, თუნდა იმპერიის მფარველობის ქვეშ ყოფილიყვნენ გამოცხადებულნი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჰორაციუსი, თუ ვირგილიუსი ახალ ქურუმებად იქმნენ კაცობრიობისა-

---

ნი პირში ჩალა გამოვლებულნი დარჩნენ.

მოგახსენებენ, კვლავ უნდა მოიწვიონ არა ჩვეულებრივი კრებაო, მაგრამ ვინ იქნება იმის თავმდები, რომ იგივე არ განმეორდებაო?

ელ. ს. კ.

მუშათა ცხოვრება

ჩვენში.

ტფილისი. „იყო დრო, როდესაც ჩვენც ადამიანური ცხოვრება გვქონდაო, გულამოსკვნილი შემომჩივლა ერთ-ერთ რესტორანის ხელზე მოსამსახურემ. ეხლა ერთი წუთი მოსვენება, თავისუფალი დრო არა გვაქვსო“. მართლაც, რესტორანებისა და სასტუმროების ხელზე მოსამსახურეთა მდგომარეობა ფრიად უნუგეშოა. დილის რვა საათიდან მოყოლებული ღამის თორმეტსა და უფრო მეტხნობამდე, მოსამსახურენი ფეხზე ტრიალებენ, მუშაობენ. ხელფასი ხომ ისე მცირეა, რომ სათქმელიც არაა. რესტორანების პატრონები მოსამსახურეებს გადაწყვეტილი თვიურ ჯამაგირს არ აძლევენ.. მათი ბედი რესტორანის პატრონის შემოსავალზეა დამოკიდებული. საშუალოდ რომ ვიანგარიშოთ, მოსამსახურეებს თვეში 10—12 მანეთზე მეტი არ მოსდით. მოსამსახურეებს არა რჩებათ დრო გონებრივ და სულიერ განვითარებისათვის, შეურაცყოფა და შევიწროვება ხომ მათი ხვედრია.

საჭიროა სათანადო ყურადღება მიაქციონ მათ მდგომარეობას, ვის ხელშიც არის „წესიერი დასვენების“ მოწყობა.

ქუთაისი. ქუთაისის გუბერნიის საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა ბ. კარსკიმ საწინდრის შეტანის ნება მისცა ქიათურაში მომხდარ გაფიცვების დროს დაპატიმრებულ მუშებს ბერძენიშვილის და შალამბერიძეს. თითეულმა მათგანმა უნდა წარადგინოს 600 მ. საწინდარი.

ბათომი. აქაურმა მედროგეებმა ქალაქის გამგეობას სთხოვეს დაწესოს ბარგის გადატანის ნორმა და აგრეთვე კვირა უქმე დღეებში დასვენება.

ფოთი. „ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსთა საზოგადოების „მუშებმა საზოგადოების გამგეობას ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებანი წარუდგინეს.

გაზ. „სიტყვას“ ატყობინებენ დეპეშით, რომ ფოთში რამდენიმე მუშა გაუჩხრეკიათ.

რუსეთი

პეტერბურგი. შარშან ქალების განათლების პირველმა სრულიად რუსეთის კრებამ დაადგინა, შეემუშავნა და სახელმწიფო სათათბიროში განსახილველად შეეტანა **კანონ-პროექტი** რუსეთში ქალთა საქარხნო ინსპექციების შემოღების თაობაზე. მიმდინარი წლის გასულ თებერვალში ასეთი კანონ-პროექტი შეტანილი იქნა სათათბიროში. ამ კანონ-პროექტს სათათბიროში მალე განიხილავენ. კანონ-პროექტში აღნიშნულია, რომ საჭიროა ასეთი ინსპექციების

მუსიკაზე: მოპენის პოლონური მარში თუ მისი საუკეთესო სონეტები სულ ჰოლონურ ჰანგებით არის შეხმატკბილებული; ბახმა, ბეთჰოვენმა, თვით ვაგნერმაც კი, რომელიც სოციალიზმის ბაირახტრობასა სჩემობდა და საკუთარი დოქტრინებს ჰქმნიდა (ვაგნერიზმი), ძალაუნებურად სამშობლო მელოდიებსა ჰკრეფდა. მისი პარსიფალი, ლოენგრინი თუ თანჰეიზი, ეს ხელოვნების განსაცვიფრებელი ნიმუშები, გერმანული მელოდიებით მოჰქსოვა მან, მაგრამ ვინ იტყვის, რომ მას ქვა უნდა შევაგროდ, რომ ჩვენი ჰანგებით არ ისარგებლაო? არას ვიტყვი გიოტე, შილერსა, ჰანრი ჰაინეზე და მრავალთა შესახებ, რომელნიც იმდენადვე არიან მსოფლიო მწერლები, რამდენადაც სამშობლოს მანათობელი ვარსკვლავები. ერთი სიტყვით, საბოლოოდ უნდა შევთანხმდეთ, რომ de facto არ არსებობს ინტერნაციონალიზმი, — ეს მხოლოდ შეუფერებელი, ტლანქი, გამოგონილი ტერმინია,—არის მხოლოდ **ერი**, ნაცია, არის **ეროვნული სული** და რამდენადაც სადია იგი, ჯანმაგარი, რამდენადაც დასრულებულია, იმდენად უფრო მეტად შედის კოსმიურს შემეცნებაში, იმდენად **უფრო** მეტად იღებს ინტერნაციონალურს გამოხატულებას!

მაგრამ ამითი იმისი თქმა არ მინდა, ვითომც რაცა ვართ, ჩვენა ვართ, უნდა დავდგეთ და მარტოოდენ ჩვენ ერზე ვილოცოთ, მის ქება-დიდებაში ვიყოთ მეთქი! არა, ეროვნული ყოყოჩობა, ერის წარა-მარად დიდება, მისი განდიდება ex professo შეუსაბამო სისულელე იქნებოდა. მე

ბლოსი, ჰარიქიი, სამშობლო მისი, ეს მისი სულის **Alma Mater**-ი, მისი ოცნების აკვანია, სადაც იგი იზრდება და იფურჩქნება ნაზ ვარდსავით. იქმნებ პატარა საბერძნეთი ჰფიქრობდა კაცობრიობის დახსნას, ეს ის საბერძნეთი, რომლისათვისაც ყოველი ერი **ბარბაროსი** იყო, თუ მის ენაზე არ ლაპარაკობდა? მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მისი კერა მსოფლიო ლამპრად გადაიქცა, ვიცით, რომ მისი ღმერთები, რომლებიც ფიდიას, პრაქსიტელის საოცარმა საკვეთილმა ტლანქ მარმალილოდან გამოჰკვეთა, მსოფლიოს სათაყვანო კერპებად გარდაიქცნენ. იქმნებ დემოსთენე ჰფიქრობდა კაცობრიობის ჰეგემონიის ხელთ ჩაგდებას, ეს ის დემოსთენე, რომელიც თვით ალექსანდრე მაკედონელის წინააღმდეგ ჰგვრინავდა, რათა ათინა ეხსნა უცხოთა დესპოტიზმისაგან? იქმნებ ციცერონი კოსმოპოლიტიზმით იყო გამსჭვალული, როდესაც კატილინას შეთქმულების წინ ამხედრდა? მაგრამ ჩვენ ვიცით, ორთავე თავგანწირული მამულიშვილი დღესაც მამულიშვილობისა და მჭერმეტყველობის სიმბოლოდა ჰყავს მიჩნეული კაცობრიობას! ან იქნებ რომის სხვა დიდებული მწერლები ჰფიქრობდნენ კაცობრიობის აღყვავებას, ეს ის მწერლები, რომლებიც რომის გარეშე მცხოვრები ასე ადვილად ვერ დაუთმობდნენ რომაელის სახელს, თუნდა იმპერიის მფარველობის ქვეშ ყოფილიყვნენ გამოცხადებულნი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჰორაციუსი, თუ ვირგილიუსი ახალ ქურუმებად იქმნენ კაცობრიობისა-

---

ვან მიჩნეული! ნუ თუ კაცობრიობამ ხელი ჰკრა დონატოლს, ლეონარდო და ვინჩის, მიქელ ანჯელოს, ეს იმ მიქელ ანჯელოს, რომელმაც მთელი ერის შემოქმედებითი გენიოსობის სინთეზი მოახდინა თავის თავში და ამით გაამაყებული უცხო მეფეთაც კი თავს არ უკრავდა? ასევე ითქმის ახალი დროის მწერლებზე, ხელოვანთა შესახებ. რით არ არის მსოფლიო მწერალი ფიორდთა მომღერალი იბსენი, რომელიც ჰატრიოტულ ლექსებით ამაყერს სათაყვანო კერპად გაუხდა? ან რით არ არის მსოფლიო მხატვარი მათეიკო, რომელმაც მთელი თავისი გენიოსობის ცეცხლი პოლონეთის დიდების აღდგენას შეალია? ჩვენ ვიცით, რომ მან აღადგინა ეს დიდება, ვიცით, რომ ყოველი მისი სურათი ვიწრო ნაციონალურ ჰანგზეა აშენებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველი მისი ნაწარმოები ხელოვნების სასიქადულო ნიმუშებად ითვლება ყველგან. აღარას ვიტყვი მხატვართა ისეთ მეფეებზე, როგორიც იყო რემბრანდტი, ვანდეკი, რუბენსი, რომელთაც თავიანთი მხატვრობა ფლანდრიის სამზღვრებს ვერ გადააცილეს, რის გამოისად მათ მიერ დახატულ მადონებში ხშირად ფლამანელ ჩასუქებულ მატრონებს დაინახავთ. მაგრამ ვინ იქნება ისეთი თავხედი, რომელიც გაკადნიერდება და იტყვის, რუბენსი უნდა დაიხრჩოს, რემბრანდტი ჩავწიხლოთ, ხოლო ვანდეკი დავწვათ, ცხენის კუდით ვათრიოთ, რომ ფერადები თუ ჩვენში არა, რომელიმე ესკიმოსისა თუ მავრ-ბუშმენების შორის არ მოჰკრიბაო! ასევე შეგვიძლიან ვსთქვათ

დაწესება, რადგან ქალთა და მცირე წლოვანთა სამუშაო ხელის მოთხოვნილება თანდათან იზრდება და ქალები იშვიათად მიმართავენ ხოლმე საჩივრით ინსპექტორებს. საზღვარ გარედ ასეთი ინსპექტორისები ყველგან ჰყავთ.

საკანონმდებლო დაწესებულებები

ნაციონალისტთა შორის.

პირველ დეკემბერს ნაციონალისტთა ფრაქციის სხდომა მოხდა, ფრაქციას უნდა გამოერკვია, თუ რა ურთიერთობა იქონიოს სხვა და სხვა პარტიებთან და მთავრობასთან. სხდომამ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: 1. ფრაქციამ დამოუკიდებლობა უნდა შეინარჩუნოს, 2. შეთანხმება სხვა ფრაქციებთან (ოქტომბრისტებზე უმარცხენეს ფრაქციასთან სოლიდარობა აკრძალულია), რათა შეიქმნას შრომის მოყვარე უმრავლესობა საგულისხმო კანონ-პროექტთა განსახორციელებლად. 3. მთავრობას ენერგიული მხარი უნდა დაუჭიროს ფრაქციამ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის მოქმედება კანონიერი იქნება და ნაციონალისტთა ფრაქციას არ ეწინააღმდეგება.

ნაციონალისტთა რეზოლიუციამ გამოწვეულია ფრაქციის ლიდერთა თათბირით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან. გაზეთები ამ პარტიას „კოკოვცევის პარტიას“ ეძახიან.

ანტონოვი კოკოვცევთან.

ოქტომბრისტთა ფრაქციის თავმჯდომარემ ანტონოვმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცევი ინახულა. მათ ხანგრძლივი ბაასი ჰქონიათ სხვა და სხვა პოლიტიკურ საკითხზე.

სათათბიროს წევრის დაჯარიმება.

პეტერბურგის ქალაქის უფროსმა დრაჩევსკიმ განკარგულება გასცა, 200 მანეთით დააჯარიმონ სახელმწიფო სათათბიროს წევრი ბადაევი. ჯარიმის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ბადაევი 4 სექტემბერს ორი მუშის დაკრძალვის დროს პოლიციის მოქმედებაში ჩარეულა.

ეს მეორე შემთხვევაა სათათბიროს წევრის ადმინისტრატიულად დასჯისა.

ამ ამბავმა დეპუტატთა შორის უკმაყოფილება გამოიწვია.

მემარცხენე ოქტომბრისტთა თათბირი.

პირველ დეკემბერს მემარცხენე ოქტომბრისტთა თათბირი მოხდა. ამ კრებაზე ფრაქციიდან გამოყოფის საკითხი უნდა განეხილათ. განცხადების ტექსტი გამოყოფვის თაობაზე უკვე მზად იყო. პირველად ხელი უნდა მოეწერა საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს ალექსეენკოს. ალექსეენკომ სთქვა: ხელის მოწერა ისე საშური არ არის. ამომრჩეველნი ჯერ-ჯერობით სათანადოდ ვერ დააფასებენ ჩვენს ნაბიჯს. მოვიცადოთ 2 დეკემბრამდე, რომელიც განიხილავს ფრაქციის მიერ მიღებულ რეზოლიუციასო.

დანარჩენი ოქტომბრისტები დასთანხმდნენ. 2 დეკემბერს სხდომისთვის საჩქაროდ დაიბარეს ოქტომბრისტთა ბელადი გუჩკოვი.

უცხოეთი

ოსმალეთი. თალაატ-ბეიმ წერილი მისწერა სომხის პატრიარქს ზავენს, სომხებმა პირდაპირ ოსმალეთის მთავრობასთან გამართონ მოლაპარაკება სომხეთის რეფორმების შესახებო. ეს წინადადება საბჭომ განიხილა და პატრიარქმა ასე უპასუხა მინისტრებს: „ოსმალეთის სომხების თხოვნით, სომეხთა კათალიკოსმა იკისრა ხელმძღვანელობა გაუწიოს რეფორმების საქმეს და შეადგინა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დავალებული აქვს დაიცვას სომხების უფლება ევროპის წინაშე. ამ კომისიამ შეიმუშავა რეფორმების პროგრამა, რომელიც სრულიად ეთანხმება სომეხთა სურვილს. ამიტომ პატრიარქს ნება არა აქვს გამართოს ოსმალეთის მთავრობასთან რაიმე მოლაპარაკება რეფორმების შესახებ“. ამას პატრიარქმა დაუმატა: პირადად მე დიდად მოხარული ვიქნები, თუ რეფორმები განხორციელდება სომხეთში, მაგრამ ოსმალთა ცრუ დაპირებას სრულებით ვერ დავეყრდნობი.

ჩინეთი. იუნშიკაის მიერ ახლად დაწესებულს ცენტრალურ საბჭოს შეადგენენ შემდეგი წევრები: 8 კაცს ნიშნავს პრეზიდენტი, 4—მინისტრების თავმჯდომარე და 44 არის პროვინციების წარმომადგენელი. საბჭო პირველს დეკემბერს უკვე შეუდგა მუშაობას. ყველაზე უწინარეს უნდა განიხილოს პარლამენტის შეცვლის პროექტი, საარჩევნო კანონის და სენატის რეფორმა. სენატორებს ნიშნავს ახალის პროექტით მთავრობა. პარლამენტის წევრების რიცხვი იქნება სამასი. განზრახული სხვა ცვლილებებიც: მაზრების ახალი დანაწილება, სამხედრო ბეგრის კანონის შეცვლა და სხვა. პრეზიდენტს უნდა ყველა ეს ცვლილება ახალის პარლამენტის მოწვევამდე განახორციელოს.

რუსეთი

მოსკოვის ქალაქის მოურავი.

მოსკოვის ქალაქის თავად, როგორც ლაპარაკობენ, არც შტიურმერი (მაკლაკოვის კანდიდატი) დაინიშნება, არც კატუარი (კოკოვცევის კანდიდატი).

ამბობენ, მოსკოვის ქ. საბჭოს მეორე არჩევნების უფლებას მისცემენო. საბჭოს ხმასნის პოლიანსკის კანდიდატურას ასახელებენ. შეიძლება ამ არჩევნზე საზოგადოება და მთავრობა შეთანხმდნენ, რადგანაც პოლიანსკის ორივეს წინაშე მიუღვის დამსახურება.

კიევის შავრაზმელნი.

კიევისს შავრაზმელთა გაზეთი „ორ თავიანი არწივი“ პირველ დეკემბერს შემდეგის მოწოდებით გამოვიდა

ესურდა აღმენიბნა, რომ კაკობრიობა და ეროვნული იდეალი არ სდგანან შორი-შორს, რომ თვით ეს ფართო შემეცნება **კაცობრიობა** შეიცავს ეროვნებათა მთელ რიგს, როგორც თავის შემადგენელს ნაწილებს. თვითოეული ამ ერთაგანი საკუთარს ღერძზე ტრიალებს, აქვს თავისი სპეციფიური თვისება, განსაკუთრებული სახე, იგი ჰქმნის ამ სახის ინდივიდუალურ ფორმებს, ენას, რელიგიას, საზოგადოებრივ წეს-წყობილებას, ლიტერატურას, ხელოვნებათა მთელს დარგებს; საინტერესოა, რომ ამ დარგთა განვითარებით და დასრულებით, როგორც ერთეული, როგორც მთელი ინდივიდი, იგი შედის საკაცობრიო ორგანიზმის შემადგენლობაში. კაცობრიობის კეთილდღეობას ხელს ვერავინ შეუწყობს, თუ რომ თვითონ არ გარდიქმნება იმათ, რაცა უნდა იყოს. თვითოეული ინდივიდი თავის თავში ატარებს ამ იდეალს, თუ რა უნდა იყოს იგი საკაცობრიო ფერხულში ჩასაბმელად. მაშასადამე, აღნიშნული იდეალი რომ უკედ გაჰფურჩქნოს, თვითეული უნდა სცილობდეს საკაცობრიო თესლი იმ ნიადაგზე გაალვიოს, რომელზედაც თვითონ დაემყნო, აღმოსცენდა. იგია საზოგადოების შემადგენელი ნაწილი, როგორც საუკუნეთა კანონიერი მეკვიდრე, როგორც მთელი ერის ხორცშესხმულობა, როგორც კაცობრიობასთან გადაყოლილ ჯაჭვის საღი და აუცილებელი რგოლი. აი, ამ ნიად ბზე ირგვებოდა და ღონძინდებოდა ყველაფერი, ამ ნიადაგზე იფურჩქნებოდა ყოველი მისი მისწრაფებ , ზრახვათა ლტოლვა, ამ ნიადაგზე (ყრებოდა მათი წმიდათა-წმიდის საკურთხეველის საძირკველი, სადაც ერი იგი თამამად ჰშლიდა სიცოცხლის ფრთებს, ლაღად ჰხარობდა, ნეტარობდა. რა თქმა უნდა,

---

„ბოიკოტი გამოუცხადეთ ებრაელებს“ გაზეთი მოუწოდებდა მკითხველებთ ყოველ ერთგული ბოიკოტი გამოეცხადებინათ „ოდეპისათვის“: არავითარი ურთიერთობა არ იქონიონ მათთან, არ ისესხონ ებრაელთაგან ფული, არ შეუკვეთონ მათ არაფერი და სხვა.

ბირჟის დარბაზში შავრაზმელებმა კრება გამართეს იუშჩინსკის ხსოვნის აღსანიშნავად და შავრაზმული სიტყვები წარმოსთქვეს.

კერენსკი გამომძიებელთან.

პირველ დეკემბერს სათათბიროს წევრი კერენსკი ჩვენების ჩამოსართმევად პეტერბურგის საოლქო სასამართლოს გამომძიებელმა სერეგამ დაიბარა. გამომძიებელმა კერენსკის მოსთხოვა ხელწერილი, რომ იგი პეტერბურგიდან არსად წავა. კერენსკიმ ამაზე უარი უთხრა, რადგანაც ამით იზღუდება სათათბიროს წევრის უფლებანი.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

6 დეკემბერი

უცხოეთი.

პარიზი. სენატი. გადასახადთა კომისიაში ფინანსთა მინისტრმა კაიომ განაცხადა: მთავრობა გადასახადთა კანონ პროექტის დიდ-აზრს იზიარებს; ეს კანონ პროექტი პალატამ უკვე მიიღო; იგი სენატის პროექტისაგან არსებითად განსხვავდება. კომისიამ დაადგინა, დაადასტუროს თვისი წინანდელი გადაწყვეტილებანი და სენატს ოტა ხანში მოხსენება წარუდგინოს.

ინგლისის მეფე და პუანკარე ერთმანეთს დეპეშით მიესალმნენ.

ვენა. ჰუნგრეთის დელეგაცია. გრ. ვიკენბურგმა გარეშე საქმეთა მინისტრის სახელით ინახა პარაკა. გრაფი კვლავ იმეორებს: ბალკანეთის ომი დაწყებისას „სტატუს ქვოს“ უარყოფა მონარქიისა და მოკავშირეების ინტერესების წინააღმდეგი იქნებოდაო; ბალკანეთის სახელმწიფოებთან, რომ პირდაპირი მოლაპარაკება გაგვემართა ჩვენს მოთხოვნილებათა თაობაზე, ავსტრია ჰუნგრეთს ან არა სასურველ ომამდე მიიყვანა ან სამარცხვინო უკან დახევას გამოიწვევდაო. ეს არის რუკვის პოლიტიკა, რომელსაც გონივრული სარჩული არ უდევსო.

გარეშე საქმეთა სამინისტროს აზრით, მისი მოქმედება სწორი იყო, როდესაც მან ბალკანეთის სახელმწიფოებთან მოლაპარაკება უარჰყო და კავშირი პირდაპირ დიდ-სახელმწიფოებთან დაიჭირა. დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბალკანეთის სახელმწიფოებისა. სამინისტრო სიამოვნებით მიეგება დელეგატების მიერ მოწოდებულ ამბავს, რომ ბალკანეთში დამყარებული მშვიდობიანობა საუკეთესო საფუძველია მონარქიისთვის რუსეთთან და საფრანგეთთან მეგობრულ ურთიერთობის განსამტკიცებლად. მონარქიას მცირე ალბანეთი მარტოოდენ ეკონომიური ინტერესები აქვსო.

იგი ადვილად არავის არ დაჰნებდებოდა და ვინც გაჰბედავდა მის დათრგუნვას, სასტიკად შეებრძოლებოდა, ან დაჰღუპავდა, ან არა და ძლეული სული ერთიანად განადგურდებოდა. ასე და ამ სახით იყო და არის გაჩაღებული ბრძოლა არსებობისათვის, ასეთი სასტიკი გლეჯა-ფლეთა ჰსუფევდა და ჰსუფევს ინდივიდუალობის სასაცოცხლოდ, ასე და ამ სახით იბრძვის ყველა, ვისაც კი სიცოცხლე ჰსურს. ბევრი ერი იმსხვერპლა ამ ბრძოლამ, ბევრი დაასაფლავა, მაგრამ სიკვდილი ერთისა თუ მეორის სიცოცხლის თამასუქად გადადიოდა, გადადიოდა მეტად მძვარად, მძვირად ყოფილა შესყიდული, რომ პირველთა საკურთხეველის ნაგრეგებზე მეორეთ თავიანთ მოგონების სამსხვერპლო აემართნათ.

საქართველოსაც ბევრი შავი დღე განუცდია, ბევრჯელ შემდგარა დაღუპვის წერტილზე, მაგრამ, ასე თუ ისე, როგორც იყო გადარჩენილა და მეოცე საუკუნის უღელტეხილამდე მოუღწევია. და აი ამ დროს, როდესაც იგი თავის დაკოდილ გულს გვიჩვენებს, როდესაც იდუმლის მეტყველებით გვითითებს თავის ჭრილობებზე, ჩვენით ჰსასოებს, ჰსასოებს, რომ დღეს განვუგრძელებთ, ჩვენ მას ზურგს ვაქცევთ: ჩვენი პირველი მიშველება ჭრილობათა შესახვევად უდიერი წიხლის დარტყმა იყო, ჩვენი თანაგრძნობა და ნუგეშინის ხმა—შეგინება, ჩვენი ალერსი მშობლიური—მის შეფურთხება! გვახსოვს და არ დაგვავიწყდება, რომ გუშინ იყო, სწორედ გუშინ, როდესაც უგუნურებამ ფრთა გაჰშალა; გვახსოვს და არ დაგვავიწყდება, რომ გუშინ იყო, სწორედ გუშინ, რომ წერაქვები დავუშინეთ ჩვენს საკურთხეველს; გვახსოვს და არ დაგვავიწყდება, რომ გუშინ

ანდრაშიმ სთქვა: მოვაბრუნოთ ბალკანელ ტიკის თანდათნობა და საკეთილო ერი თავს რწმენა აკლდა. ბალკანეთის სახელმწიფონი ავსტრიას უმიზეზოდ არ დაესხმოდნენ თავს, რადგანაც გათვალისწინებული ექნებოდათ, რომ ავსტრია, მიუხედავად მისი შინაური მოუწესრიგებლობისა, საკმაო სიძლიერით დაუსვდებოდა; სამთა კავშირი ეხლა უფრო მტკიცეა, ვიდრე წინადაო.

ბუქარესტი. სენატი. ბრატიანუ სიტყვას განაგრძობს: მთავრობა საგონებელში იყო, რუმინიის მოთხოვნილებათა გაფართოებაზე ევროპის ომი არ გამოიწვიოსო; მას არა სწამდა რუმინიის ძლიერება, არ მოელოდა ჯარის მობილიზაციით გამოწვეულ საერთო აღფრთოვანებას, ერთის სიტყვით, იგი ფხიზელ დარაჯად არ ედგა სამშობლოს ინტერესებს, მთავრობაც უძლური იყო. ბრატიანუ წინააღმდეგია, რომ მთავრობას ნდობა გამოეცხადოს.

რომი. დეპუტატთა პალატა. სოფე სიტყვის გამო ადრესის განხილვის დროს, სოციალისტმა კალდამ სიტყვა წარმოსთქვა: მინ მთავრობის მოქმედება დაჭგმო. მთავრობას უსაყვედურა, ლივიაში გაწეულ ხარჯთა ანგარიშს პალატას დღევანდლამდე არ წარმოუდგენია. მოლაპარაკე კითხულობს: რით აიხსნება ის გარემოება, რომ ლივიაში მშვიდობიანობის ჩამოგდების ერთი წლის შემდეგ, მთავრობამ 350 მილიონი დახარჯა, როდესაც ომის დროს 300 მილიონს ხარჯავდაო. კალდამ ჯოლიტის არჩევნებში უკანონო მოქმედების ჩადენა ამხილა. სოციალისტები ყოველთვის ებრძვიან ჯოლიტოსო, სთქვა მოლაპარაკემ. ერთად ერთი მემკვიდრე მისი, რომელსაც სოციალისტები შეიწყნარებენ, სონინო არისო.

ვენა. „პოლნიშე კორესპოდენციის“ თანამშრომელი მინისტრ დლუგოშს ებაასა. დლუგოშს უთქვამს: ძალიან მოვტყუვდი დეპუტატ სტაპინსკაში; მე მას ვენდობოდი და ფულს ვაძლევდი, მეგონა პარტიის საქმეებს მოანდომებდაო. მზად ვიყავ, სახელმწიფო, პარლამენტი და პოლონელი ერი მეხსნა დეპუტატ სტაპინსკისაგან. ამას პოლონელ ხალხის პარტიის ინტერესები და საზოგადოებრივი ზნეობა მოითხოვდაო. მინისტრი დარწმუნებულია, რომ ყველა პატიოსანი ადამიანი მას მიემხრობა.

ბერლინი. კბილის ექიმთა სასწავლებელთა სტუდენტების გაფიცვა დამთავრდა. სწავლა განახლდა.

ვენა. ჰუნგრეთის დელეგაციამ გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა მიიღო. დელეგაციის პრეზიდენტმა დელეგაციის სახელით ბერტჰოლდს ნდობა გამოუცხადა.

თეირანი. ქურთისტანის არეულობა მთავრობას საგონებელში აგდებს. არეულობის ჩაქრობა მთავრობამ ცნობილ გუბერნატორს სერდარ-მიუხს მიანდო. იგი კი თურქისტანში წასვლას ვერა ჰბედავს.

ზაგრები. სეიმის არჩევნების დროს სერბია-ხორვატიის კოალიციამ 84

იყო, სწორედ გუშინ, როდესაც მოწამის სისხლი დავანთხიეთ წიწამურის ველს; გვახსოვს და არ დაგვავიწყდება, რომ გუშინ იყო, სწორედ გუშინ, როდესაც გაისმა სამშობლოს გულამოკვნესილი „ვაიმე“, როდესაც ნგრევა და შეგინება გამეფდა, როდესაც შებორკილთა ლაშქარი მოსწყვეტეს მშობლის წამებულ გულს, როდესაც... დადგა ჩვენი დასაფლავების დღე, როდესაც... ეროვნულ გრძნობათ ქეთილშობილ ერთგულს ამ ტყვეობაშიაც წიხლი დავცხეთ და ამოვხსნილეთ შიგ ტალახში. ასეთს დროს, მართლაც, შეუძლებელია სიხარული, შეუძლებელია აღმოფრენა, მთვარის სიმებზე ლაჟვარდ ჰანგების დამღერება, შეუძლებელია ქეკლუც სიცოცხლის ფრთების გაშლა, ფერხულის ჩაბმა. ამ დროს ბუნებრივად უნდა მოლოდინი გვქონდეს წინასწარმეტყველ იერემიას მოვლენისა, და მართლაც: წინასწარმეტყველი იგი გამოჩნდა. თავზე ფერფლ-წაყრილი, ფეხშიშველი, ძაძების ანაბარად იგი ამ ნანგრევებს შუა ნაცარსა და ღვეღფში დაიარებოდა და ღვართქაფად მოშსკდარ ცრემლებს უხვად სთესდა მწირს ყამირზე. მაგრამ აი, ცრემლები შეუშრა, დამუნჯებული წინასწარმეტყველი როგორც იქმნება ავა სამშობლოს სამრეკლოს ნანგრევებზე და მნათეს დამჭკნარი ხელით ურუ უდაბნოში მოისმენა გულშემზარავი „ჯლოვის ზარი“, ვამბობ, ურუ უდაბნოში, ვინაიდან მგოდებელ მნათეს, მოვალალი იერემიას, რავდენადაც ვიცი, ჩვენს საზოგადოებაში გამოძახილი არ ჰქონია და მისი საგოდებელი ფსალმუნიც ჯერ-ჯერობით რჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა!.

დ. კანჩაველი.

(შემდეგი იქნება)

მანდატში 45 მიიღო. სოციალ-დემოკრატები და სერბიის რადიკალები ვერ გავიდნენ.

ლიუბლანა. უკრაინის სეიმის არჩევნები დასრულდა. კლერიკალმა სლოვენებმა 27 მანდატი მიიღეს, ლიბერალ-სლოვენებმა—11. გერმანელებმა—10.

ფლორენცია. ალბანეთის გამიჯვნელმა კომისიამ 5 დეკემბერს მუშაობა დაასრულა.

რომი. პალატამ 362 ხმის უმეტესობით წინაღმდეგ 90-სა, მორიგ საკითხებზე გადასასვლელი უბრალო ფორმულა მიიღო. მთავრობამ ეს ფორმულა ნდობის გამოცხადებად ჩასთვალა.

პარიზი. მსოფლიო რუკის შესადგენად შეკრებილი საერთაშორისო კონფერენცია დასრულდა. შემდეგი კონფერენცია ბერლინში მოხდება 1914 წელს.

რუსეთი.

კიევი. ქალაქის თვითმართველობა დაადგინა, 1915 წელს გაჰმართოს ქალაქის მოწყობის სრულიად რუსეთის გამოფენა. გამოფენა იმ პირობით გაიმართება, თუ შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ მიზნისთვის 10,000 მანეთს გადასდებს.

პეტერბურგი. „დენის“ რედაქტორი ივნისში ბეილისის საქმის გამო მოთავსებულ ცნობებისთვის 50 მანეთით დააჯარიმეს. „არხანგელის სატუსაღოს“ წერილის მოთავსებისათვის კი ერთი თვის ციხე მიუსაჯეს.

კიევი. ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა ნება დართონ საერობო და საქალაქო საქმეთა შესასწავლად ინსტიტუტი დაარსონ. ამ საქმისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქი სთხოვს საჭირო თანხას. ქალაქის თვითმართველობამ ამ მიზნისთვის 300,000 მანეთი გადასდო და საჭირო მიწა შესწირა.

იალტა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცევი ჩამოვიდა.

პეტერბურგი. 5 დეკემბერს მომრიგებელ მოსამართლეთა კრების უკანასკნელი სხდომა მოხდა. იუსტიციის მინისტრის ამხანაგი ილიაშენკო თავმჯდომარეობდა. კრების მონაწილეს მომრიგებელ მოსამართლეებმა იუსტიციის მინისტრს ნადიმი გაუმართეს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

ბ-ნი შიუკაშვილი ნიჭიერი დრამატურგია; მშვენიერი მხატვრული ადგილებია მის დრამებში, როდესაც ეხება ჩვენ ყოფა-ცხოვრებას და ჩვენი ცხოვრების ინამდვილეს ჰხატავს. მხოლოდ, სამწუხაროდ, ბ-ნი შიუკაშვილი ამ მხარეებს ნაკლებად აქცევს ყურადღებას და ასეთი ადგილებიც მის დრამებში ცოტაა, მაგრამ, როდესაც იგი განყენებული მსჯელობით სცდილობს რაიმე იდეის გამოსახვას, მაშინ მისი ნიჭი თითქოს იჩრდილება, და ნაძალადევად, ტენდენციურათ შექმნილი ტიპები და მდგომარეობა აფოლებს მის დრამას. ამ შემთხვევაში იგი ხატვრობა ზვარაკად ეწირება ხელოვნურად შექმნილ ტიპებს და, რასაკვირველია, ბევრი აქვს დრამებში ყალბი ტიპები და ყალბი ადგილები. ძნელია მსახიობებისათვის ასეთი ტიპების უნაკლოდ გაპიროვნება, ძნელია ყალბი ადგილების კარგად შესრულება, თუ მსახიობებს კარგი სკოლა არ აქვთ გავლილი. ჩვენ მსახიობებს, რომელნიც უფრო ალღოს მიხედვით ჰქმნიან ხანდახან მართლაც მხატვრულ ტიპებს, უძნელდებაო ასეთ პიესებში კარგი ანსაბლის შექმნა. უგულოდ თამაშობენ და ეს უგულობა ვერ აიცდინა „სიმახინჯის“ წარმოდგენის დროს თვით უნიჭიერესმა ნ. ჩხეიძემაც, რომელიც ამ როლის საუკეთესო შემსრულებელია. თავიდან ბოლომდე მან სონას მისცა ერთგვარი ხასიათი: მწარე ნაღველი, აუტანელი მწუხარება და ტანჯვა გამოწვეული ხან უკმაყოფილებით, ხან სინიდისის ქეჯნით (მშობლების ცუდ მდგომარეობაში ჩაყენებისათვის), ხან კიდევ გამოუსვლელ აუტანელ მდგომარეობით (საბოლოოდ დაღუპვის შეგნება ქორწინების შემდეგ). მაგრამ მეორე და მესამე მოქმედებაში საჭიროა მეტი განზრახ მხიარულება, რომელიც სწრაფად ეცვლება სევდით. მეოთხე მოქმედებაში უნაკლო იყო მისი თამაში და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ზარდალიშვილის საბა კარგია. მსახიობი ნათელჰყოფს მახინჯის როლს, სავსებით გადმოგვცემს მის ფსიქოლოგიას; თუმცა საჭიროა საბას ზოგიერთ მხარეების მეტი ხაზის გასმა. ზარდალიშვილის საბა არისტოკრატიულია. უფრო სადა რომ იყოს, უმჯობესია. მახინჯის გრძნობების გამოხატვაში საჭიროა მეტი სიმარტივე. ე. ჩერქეზიშვილი (დარია) გადიას როლს უფრო თამაშობდა, ვიდრე მოხელის თომა ძნელაძის მეუღლისას. ტ. აბაშიძის (გიორგი) მიერ გამოსახული გიმნაზიელი ძლიერ მცირე წლოვანი იყო შეხედულებით და ცელქობითაც 10—11 წლის ბავშვს უფრო ჰგავდა. თუ მსახიობს სცენაზე ფეხ-შიშველა გამოსვლა არა სურს, ხორცისფერი ტრიკო მაინც უნდა ჩაიცვას და არა თეთრი. პიერეტას (მარო) თავიდან ბოლომდე ყალბი როლი აქვს, განსაკუთრებით მეორე მოქმედებაში, სადაც მან მთელი რეზონიური მონოლოგი უნდა წარმოსთქვას ქალის დანიშნულების შესახებ. აქ საჭიროა სიყალბე ბუნებრიობით იძლიოს. ქ. პიერეტამ ეს ვერ შესძლო. მშვენიერი იყო მახინჯ დარეჯანის როლში ქ-ნი ნ. ჯავახიშვილი; მისი ტიპი მთლიანი და მხატვრულია. ა. შანშიაშვილი (ვასო მენაბდე) სრულებით უგულოდ თამაშობდა. საჭირო არ არის ასეთი ტრაგიზმი და პათოსი; მხოლოდ სადა და ბუნებრივი თამაში უწყობს ხელს ვასოს გაპიროვნებას. ვ. შალიკაშვილმა სავსებით გამოხატა თომა ძნელაძის სულისკვეთება, რომლისთვისაც ყოველდღიურ ჭირ-ვარამს იმდენად მოუხერეველია ქედი, რომ შვილებიც მტრებად მიაჩნია, მაგრამ ეგოდენი ადამიანური კეთილშობილება კიდევ შერჩენია, რომ მახინჯ საბას თავში ახალოს მისი ქალისთვის შეძლებული სასყიდელი. საფაროვს დაავიწყდა, რომ მსახურის როლს თამაშობდა, და არა ბანკირისას, მხოლოდ სიგარა-ღა აკლდა. მესხის—მზარეული კარგი იყო. თომა შვიდ თუმნიანი მოხელეა და კოლეჟსკი ასესორის მუნდირი კი ჩაეცვა. ასეთ მოხელის ჯამაგირი უდრის 150—200 მანეთს. ეთავბოლოდ ჩინ-ეპოლეტების გაკეთება და მუნდირების ჩაცმა არ შეიძლება. თომას ოთახი მეტისმეტად ღარიბულია. იგი საფოსტო სადგურის სამგზავრო ოთახს უფრო ჰგავდა. ბგრედვე დერეფანი უხერხულად იყო გაკეთებული. მეორე და მესამე მოქმედებაში თომას ბაღის იქით შეუფერებელი დეკორაციებია, ტროპიკული დაბურულ ტყე შეუძლებელია ყოფილიყო ქალაქთან, სადაც თომა მსახურობდა.

დასასრულ ითამაშეს „რაც არ მერგება, არ შემერგება“; ჩვენი მსახიობები კარგად ასრულებენ ვოდევილებს და კომედიებს, რომ გადამეტება არ იცოდენ. მეტის-მეტი შარჟი არ ვარგა. **მელანი**

ხაშური. 24 ნოემბერს ქართულმა დრამატიულმა წრემ რკინის გზის კლუბში წარმოდგენა გამართა. ქართულად დასდგეს „უდანაშაულოდ დასჯილნი“, რუსულად „დარბაზობა მისი ღმერთებულებისა“. რეჟისორობდა ა. კორძაია. ქართული წარმოდგენა უფრო სუსტად ჩაატარეს, ვიდრე რუსული. ხალხიც ნაკლები დაესწრო, რადგან აფიშები გვიან გააკრეს.

გორი. დეკემბრის 18 გორში გაიმართება წარმოდგენა და კონცერტი. იმღერებს ქართული გუნდი ბ-ნ ალ. მაისურაძის ლოტბარობით.

ლექცია. დღეს, 7 დეკემბერს, ქ. ქუთაისში ქალაქის თეატრში ს. ნ. კაკაბაძე წაიკითხავს ქართულ ენაზე ლექციას: „ახალი შეხედულებანი საქართველოს საშუალო საუკუნოების ისტორიაზე“.

ღია წერილი

ბ. იასონ გაბილაიას.

ბ. იასონ! 1912 წლის გაზაფხულზე, თქვენივე რჩევით, ბუგეულის საზოგადოების (რაჭაშია) რამოდენიმე გლეხმა, მოგანდეთ ჩვენ სოფელში დასაარსებლად განზრახულ მომხმარებელთა საზოგადოების ნორმალური წესდება ქუთაისის გუბერნატორთან დამტკიცებისათვის წარსადგენად ყოველივე ხარჯის ფულით. მას აქეთ წელიწადნახევარი გავიდა, და წესდება არ მიგვიღია. ბევრმა ჩვენს შემდეგ დაიწყეს საქმე და მაღაზიებიც დახსნეს. უმორჩილესად გთხოვთ შეგვატყობინოთ, რა შეემთხვა ჩვენს წესდებას? — თუ უარი გვეყო, რა მიზეზით, ან რატომ არ არის ამის ცნობა? თუ არა და, როდემდის დაგვჭირდება ლოდინი?

პატივისცემით **ალფეზა დავითულაანი.**

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქვემოაღნიშნულ პირთ, რომელთაც ხელი შემიწყვეს ნივთიერი დახმარებით, ამით საშვალება მომცეს უმაღლესსწავლებელში სწავლის გასაგრძელებად: გრ. ჭუმბურიძეს, ვ. ნაცვალაძეს, ბარ. სურგულაძეს, სადგ. სტრედიის უფროსს ჩხეიძეს, თ. გვილესიანის ასულს, ნ. ჩხეიძეს, ფრანგიშვილს, სამტრედიის კონდუქტორთა მუსიკის დამკვრელებს, თავად გრიგოლ თავდგირიძეს, მღვდ. ბესარ. დოლიძეს, ს. თავართქილაძეს, გიორგი შარაშიძეს, გიგორგი ჟღენტს, გ. ერისთვის ასულს, კ. და მ. მესხის ასულთ, ქეთევ. ლორთქიფანიძის ასულს, სად. ფოთის კონდუქტორებს და ყველა მათ, ვინც კი რაიმე დახმარება აღმომიჩინეს.

ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი-ფილოლოგი **ილარიონ ყენტი.**

რედაქტორი ნ **კუკდელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

ვარდის ფერი ბროლის საპონი.

პარფიუმერია კელნი, რიგა.

მატარებელთა მიმოსვლა
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).
ტფილისიდან ბადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაც. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-ხაბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **ნაფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარეკი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 5 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3 **ხაფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **ჩქარი** პლაც. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** დამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარეკი.** მეოთხე კლასის ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით დამ. 2 ს. 48 წ.

ნარეკიდან: № 17, **ხან.** ღილ. 8 ს 2 წ. № 18, **სამგზავრო.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფიდან: **ხაფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს 30 წ.

ყარსიდან: **ხან.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევნიდან: № 24/23, **ხაბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **ხაფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **ხაბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **ჩქარი**— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარეკი.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **ხამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **ხაფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარეკი** ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4/3 საფოსტო 7 საათსა და 28 წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26/25 საკონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 ბ. **ფომინა-ოხიბოგანა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალაბანთარიანი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6ი. **მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709)

9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **გ. ბ. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეშმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სხდაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ-ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჭყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ვლისაბედის ქუჩა 56 და მალაკის მოედანზე.

სპერმინ!

სპერმინ-პელი ერთად-ერთი ნამდვილი სპერმინი, ყოველ-ძხრივ ნაცადია და მიღწეული ბრწყინვალე შედეგების წყალობით, მოწონებულია მთელი ევროპის სახელგანთქმულ მეცნიერების მიერ და მითი წამლობას ურჩევენ ხეგრალეგრეის, სილო-ნალგებრისა, ქლექსი, ათაშანგისა, ვერცხლის წყლით წამლობის ისტერიისა, ნევრალგიისა, ბერბერ-ალკოჰოლისა, ფერფლისა, ფერფლ-ალკოჰოლისა, ბალსამისა, ბალსამ-ალკოჰოლისა, ბალსამ-ფერფლისა, ბალსამ-ფერფლ-ალკოჰოლისა, ბალსამ-ფერფლ-ალკოჰოლ-ბალსამისა, ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამისა, ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლისა, ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამისა, ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლისა, ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამისა, ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლისა, ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამისა, ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლისა, ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამისა, ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლისა, ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამისა, ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლისა, ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-ბალსამ-ალკოჰოლ-